საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი
მათემატიკის დეპარტამენტი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1

ქ. ბათუმი 21 თებერვალი, 2024 წელი

სხდომას ესწრებიან:

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 16 თებერვლის N 01-02/21 ბრძანების დანართი 3 განსაზღვრული კომისიის წევრები:

დალი მახარაძე - პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
ონისე სურმანიძე - პროფესორი (კომისიის წევრი);
ნინო სვანიძე - ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი

2023-2024 სასწავლო წლისათვის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტში მათემატიკის მიმართულებით ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 16 თებერვლის N 01-02/21 ბრძანებით გამოცხადებულ მოსაწვევი პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა საბუთებისა და დოკუმენტაციის შესწავლა/შერჩევა.

მოისმინეს:
1. კომისიის თავმჯდომარის დალი მახარაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსაწვევი პერსონალის - 2023-2024 სასწავლო წლის ე. წ. „დატვირთვის ეკრანის“ საფუძველზე დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის და კონკურსის გარეშე მოწვეულ, ბსუ-ში 3 წელზე მეტი გამოცდილების მქონე პედაგოგების დატვირთვის შემდეგ დარჩენილ 138 საათზე გამოცხადდა კონკურსი.

2. კომისიის თავმჯდომარის დალი მახარაძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევი პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 16 თებერვლის N 01-02/21 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისათვის, უმაღლესი მათემატიკის და ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის მიმართულებით 2024 წლის 19 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით სულ შემოვიდა 2 განცხადება.

კონკურსში მონაწილე პირთა ჩამონათვალი:
1. თამუნა გორგაძე
2. გიორგი ვადაჭკორია

საკონკურსო კომისიის წევრებმა ერთხმად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:
1. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია კონკურსის ძირითად პირობებთან და კონკურსანტს ჩაუტარდეს გასაუბრება შემდეგი განრიგის მიხედვით:

ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის მონაწილე კონკურსანტებთან გასაუბრების განრიგი

პრეტენდენტის სახელი და გვარი		გასაუბრების ჩატარების დრო	
		21 თებერვალი 2024 წელი	
1	თამუნა გორგაძე	15:00	15:20
2	გიორგი ვადაჭკორია	15:20	15:40

გასაუბრების ჩატარების ადგილი: ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ოთახი #210

2. საკონკურსო კომისიის მდივანმა უზრუნველყოს კონკურსანტების ინფორმირება გასაუბრების განრიგისა შესახებ CV-ში მითითებული სატელეფონო ნომრების და ელ-ფოსტების მეშვეობით.

კომისიის წევრები:
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი: დალი მახარაძე

კომისიის მდივანი, ასოც. პროფესორი: ნინო სვანიძე

წევრი, პროფესორი: ონისე სურმანიძე